



ლიზინგის მსოფლიო ბაზრის განვითარების მდგომარეობა

რეზიუმე

ილბარ გალიევი

სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: barata49@mail.ru

სტატიაში განხილულია საერთაშორისო ლიზინგის ბაზრის მოცულობა და დინამიკა მსოფლიოს ქვეყნების და რეგიონების (ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, აზია, ლათინური ამერიკა) ჭრილში. მოცემულია ინფორმაცია ბაზრის სეგმენტების მიხედვითაც.

ლიზინგის მსოფლიო ბაზარი 2006-2007 წლამდე მუდმივად იზრდებოდა. 2007 წელს კი მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია მისი შემცირება. თუმცა, ეს არ დასტყობია ყველა ქვეყანას და არც ბაზრის ყველა სეგმენტს. ყველა სეგმენტს. ყველაზე მყარი იყო უძრავი ქონების ლიზინგი.

ლიზინგის მსოფლიო ბაზრის ლიდერია აშშ, მეორე ადგილზეა იაპონია.

ლიზინგის მსოფლიო ბაზრის განვითარებას ხელს უწყობს ის შეღავათები, რომელიც ლიზინგის სუბიექტებს აქვთ მიცემული დაბეგვრაში საზღვარგარეთ. ასეთი ქვეყნებია გერმანია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვები. საქართველოს სალიზინგო კომპანიებს შეღავათები არა აქვთ.

საკვანძო სიტყვები:

ლიზინგი
საერთაშორისო
ბაზარი
სეგმენტი
მულტიბილდინგი

შესავალი

ლიზინგის ბაზარი არის მომსახურების ბაზრის ერთ-ერთი სახე. ლიზინგის ბაზარზე გამოდის სალიზინგო ქონება, მაგრამ იგი კი არ იყიდება, არამედ ლიზინგის მიმღებთ გარკვეული ვადით და გარკვეული საფასურის გადახდით გადაეცემათ სარგებლობაში გარკვეული ვადით, შემდგომში მისი საბოლოო გამოსყიდვის უფლებით.

ლიზინგის ბაზრის მეშვეობით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ შეიძინონ საჭირო ქონება – მანქანები, მოწყობილობა, აპარატურა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა, – ისე, რომ არ დასჭირდეთ ბანკიდან სესხის აღება.

ასე რომ, ლიზინგი არის კომერციული საბანკო კრედიტის ალტერნატივა.

ლიზინგის ბაზარი მსოფლიოს მოსახლეობის გარკვეული ბარომეტრია. თუ მისი მოცულობა იზრდება, ეს ნიშნავს რომ მოსახლეობის შემოსავლებიც იზრდება.

1. ლიზინგის მსოფლიო ბაზრის განვითარება 1982-2000 წლებში

ლიზინგის მოცულობა მსოფლიო ბაზარზე 1982-2000 წლებში 10,5-ჯერ გაიზარდა. მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკაში 7,4-ჯერ, ევროპაში 15-ჯერ, აზიაში 22-ჯერ, სამხრეთ ამერიკაში 50-ჯერ, აფრიკაში 26-ჯერ, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში 2-ჯერ) (ცხრილი 1).

ამ წლებში ლიზინგის მსოფლიო ბაზრის ლიდერი იყო ჩრდილოეთ ამერიკა, კერძოდ, კი აშშ. 1999 წელს მის წილად მოდიოდა ლიზინგის მსოფლიო ბაზრის საერთო მოცულობის – 39,5%, ანუ 161,5 მლრდ დოლარი, 7,5%-იანი წლიური ზრდის ტემპით. ამასთან ჩრდილოეთ ამერიკას განსახილველ წლებში ლიზინგის მსოფლიო ბაზარზე ყოველთვის დომინირებული მდგომარეობა ეკავა. 1982 წელს მის წილად მოდიოდა ბაზრის - 59%, 1985 წელს – 60,3%, 1990 წელს – 50%, 1995 წელს – 36,7%, 2000 წელს – 41,3%. მეორე ადგილზე იყო ევროპა, ხოლო მესამე ადგილზე აზიის ქვეყნები.

ლიზინგის მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის მდგომარეობა. 1982-1990 წლებში ევროპის სალიზინგო ოპერაციების მოცულობა – 5,2-ჯერ გაიზარდა, 1990-1995 წლებში კი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. ამის შემდგომ ევროპის სალიზინგო ინდუსტრია გარკვეულმა კრიზისმა მოიცვა, რაც გამოიწვია კონტინენტის პოლიტიკური რუქის შეცვლამ (გერმანიის გაერთიანება, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დაშლა და ა. შ.).

2. ლიზინგის მსოფლიო ბაზრის მოცულობა და დინამიკა 2004-2007 წლებში

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ 2000 წლის ბოლოსთვის ლიზინგის მსოფლიო ბაზარი საკმაოდ განვი-



ლიზინგის მსოფლიოს ბაზრის მოცულობა და ღირებულება
1982-2000 წლებში (მლრდ დოლარი)

წლები	ჩრდილოეთ ამერიკა	ევროპა	აზია	სამხრეთ ამერიკა	ავსტრალია და ახალი ზელანდია	აფრიკა	სულ მსოფლიოში
1982	24,0	7,9	4,8	0,3	3,6	0,2	40,8
1983	29,8	11,9	5,9	0,8	4,3	0,3	53,0
1984	37,4	13,2	6,3	1,5	4,4	0,5	63,6
1985	48,0	16,0	8,5	1,6	4,7	0,8	79,6
1986	50,0	16,7	10,5	1,6	4,9	1,0	84,9
1987	52,5	17,4	15,9	1,7	4,8	1,1	93,5
1988	64,0	18,1	20,9	1,6	4,4	1,2	110,2
1989	80,8	24,7	25,9	1,6	3,9	1,2	138,1
1990	87,0	41,2	36,5	1,5	5,4	1,8	173,4
1991	101,3	64,6	50,2	1,4	5,6	2,1	225,2
1992	117,0	80,1	63,6	3,2	4,1	2,8	273,4
1993	126,8	98,0	65,3	2,0	7,3	3,0	302,4
1994	125,4	117,9	77,5	1,9	5,1	2,8	331,6
1995	130	120	83,4	3,5	4,0	4,4	345,3
1996	127,6	99,5	88,8	6,3	4,2	4,8	363,3
1997	132,5	81,0	79,9	9,3	4,9	2,0	369,3
1998	148	107,5	99,2	11,1	5,9	4,7	376,4
1999	169,3	100	104,8	15,1	6,2	5,7	409,1
2000	177,0	117,7	105,8	15,0	7,3	5,3	28,1
2000 წ. %ად 1982 წ-თან	737,3	148,1	221	500	202,7	265	10490

თარეზული იყო. მასში პირველ-მეორე ადგილებს აშშ და იაპონია ინაწილებენ. ეხლა რაც შეეხება შემდგომ პერიოდს.

2000 წლიდან დაწყებული 2004-2007 წლამდე ლიზინგის მსოფლიო ბაზარი სისტემატურად იზრდებოდა (ცხრილი 2) და ვითარდებოდა. მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ წლებში ევროპას და ამერიკას ფინანსური კრიზისი დაატყდათ თავზე, რამაც გამოიწვია ლიზინგური ბრუნვის ზრდის შემცირება.

მართლაც, სწორედ ამ ცხრილიდან ჩანს, რომ 2004-2005 წლებში მსოფლიოში ლიზინგის ბრუნვა 13,7%-ით არის გაზრდილი. უფრო მეტად არის იგი გაზრდილი ბენელუქსის ქვეყნებში, ავსტრიასა და შვეიცარიაში (41,5%-ით), ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში (50,9%-ით), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (30,6%-ით), იგივე მდგომარეობაა 2005-2006 წლების პერიოდში. მსოფლიოს მასშტაბით ლიზინგი ამ პერიოდში 13,1%-ით გაზრდილია, მაგრამ შემდეგ, კერძოდ, 2007 წელს 2006 წელთან შედარებით იგი უკვე 0,6%-ით არის შემცირებული. ამ წელს გაჩნდა კრიზისის სიმპტომები და სწორედ კრიზისმა შეაფერხა ბიზნესის განვითარება და, გამომდინარე აქედან,

ლიზინგზე მოთხოვნაც, ეს მოხდა ცხრილში მოცემულ ყველა ქვეყანაში, გარდა შვეიცარიის, ავსტრიის, ბენელუქსის ქვეყნებისა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებისა (ნახაზი 1).

კრიზისამდე პერიოდში ლიზინგის განვითარებას ხელი შეუწყო ზოგადად ბიზნესის განვითარებამ და აგრეთვე, იმ შედეგებმა, რომელიც საზღვარგარეთ ლიზინგის სუბიექტებს აქვთ მიცემული დაბეგვრაში. ასეთები: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, შვედეთი და სხვები. მაგრამ სწორედ კრიზისის დადგომისას ზოგიერთმა მათგანმა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთმა, გააუქმა შედეგები ექსპორტულ ლიზინგზე [2], რაც აუცილებლად გამოიწვევდა სხვა ქვეყნებიდან ლიზინგით შემოტანილ საგნების ბრუნვის შემცირებას. ეს ასეც მოხდა (იხ. ნახაზი 2).

ლიზინგური ბრუნვის შემცირება განსაკუთრებით დაეტყო ახალ კონტრაქტებს და ახალ ბიზნესს ამ სფეროში (იხ. ცხრილი 3). ასოციაცია “Leaseurope”-ს მონაცემებით, მასში გაერთიანებულ ქვეყნებში 2008 წელს ახალი სალიზინგო ბიზნესი თითქმის – 7,7%-ით შემცირებულია 2007 წელთან შედარებით. შემცირება




კრიზისამდე პერიოდში ევროპის ქვეყნებში ახალი ლიზინგური
კონტრაქტების მოცულობის დინამიკა

ქვეყნები და რეგიონები	ათასი ევრო		დინამიკა, %	ათასი ევრო		დინამიკა, %
	2004	2005		2006	2007	
ბენელუქსის ქვეყნები, ავსტრია და შვეიცარია	18640,4	26387,8	141,5	28776,25	32013,88	111,2
ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები	14040,87	21199,3	150,9	33395,95	31583,54	94,5
საფრანგეთი	26915,0	28776,0	106,9	36099,29	35780,0	99,1
დიდი ბრიტანეთი	53651,0	55773,6	103,8	54955,78	54721,94	99,5
გერმანია	44410,0	49270,0	110,9	50539	50049,95	99,0
იტალია	38039,96	44160	116,1	48109,0	48860	99,8
სმელთაშუაზღვის ქვეყნები	21151,45	25860,5	122,2	27536,5	28140,3	102,2
აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები	13379,14	17475,17	130,6	18098,97	12065,4	66,6
სულ	231127,84	262902,4	113,7	297510,73	295787,84	99,4

ერთიანად არ შეხებია არც ყველა ქვეყანას და არც ყველა ლიზინგის ობიექტს. ლიზინგის სფეროში ახალი ბიზნესის ფუნქციონირების თვალსაზრისით ყველაზე მყარი იყო უძრავი ქონების ლიზინგი. იგი მხოლოდ 2,4%-ით შემცირდა. განსაკუთრებით შემცირდა სატრანსპორტო საშუალებათა ლიზინგი, რომელიც მრავალი წელი სისტემატური ზრდით ხასიათდებოდა.


გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 2006 წელს დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებით დააზარალა მსუბუქი ავტომანქანების წარმოება და მათი ლიზინგიც. მაგალითად, აშშ-ში მსუბუქი ავტომობილების მწარმოებელთა შემოსავლებში კრიზისამდე ლიზინგს ეკავა – 20%, კრიზისის დროს კი ეს სექტორი ზარალიანი გახდა. ამ მიზეზით ცნობილმა ავტოგიგანტმა „ფორდმა“, ზარალში ჩამოწერა 2 მლრდ



ნახაზი 1. საერთაშორისო ლიზინგის ბურნების დინამიკა %-ად წინა წელთან



ქვეყანა



ნახაზი 2. ლიზინგის განვითარების დონე ევროპის ქვეყნებში 2006-2008 წლებში (2007-2008 წლებში; 2006-2007 წლებში)

დოლარი, ხოლო „ჯენერალ მოტორსმა“ 14 მლრდ დოლარი. ეს იყო ლიზინგით გაყიდული მანქანები, რომელთა ღირებულება ვერ გადაიხადეს მყიდველებმა. მსუბუქი ავტომობილების ლიზინგის მოცულობა შემცირდა მყიდველი ფირმების კრიზისში ჩავარდნის გამოც და კიდევ ბენზინის გაძვირების გამოც. იმ წლებში ბენზინი თითქმის ყველა ქვეყანაში გაძვირდა. თვით აშშ-ში 2008 წელს ერთი გალონი ბენზინი 2-3 დოლარი გახდა.

შემცირდა რკინიგზის ტრანსპორტის, თვითმფრინავების და გემების ლიზინგის მოცულობაც. 2008 წელს საზღვაო გემების ლიზინგის მოცულობა 8%-მდე შემცირდა [3]. ეს გამოიწვია დაფინანსების უკმარისობამ ტვირთის გადაადგილებისთვის. ამ ფონზე და სწორედ ამ პერიოდში საკმაოდ განვითარდა მულტიბილდინგი. ეს არის მოლაპარაკება მომწოდებლებთან არა ავტომობილების პარტიაზე, არამედ თითოეულ ერთეულზე. მაშასადამე, თუ კრიზისამდის ლიზინგამცემები მწარმოებლებს უკვეთავდნენ მთელ პარტიას, ახლა დაიწყეს თითო ცალის შეკვეთა. თითოეული ავტომობილის მიღებისთვის. მათ ამ წესით ეზოგებოდათ 500 ევრო. ამ წესით მულტიბილდინგით ავტოტრანსპორტის საერთაშორისო მომწოდებელს „Fleet Logistik“-ს 2008 წელს დაუზოგავს 1,39 მლნ ევრო ტექნიკურ სექტორში (მან მულტიბილდინგით გასცა 2400 ავტომობილი 14 ქვეყანაში) [4].

ზემოთნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ლიზინგის ბრუნვა ყველა სექტორში გაუარესდა. გამოჩნდა ახალი სალიზინგო პროდუქტები, რომელთა ამოქმედებამ ზოგიერთ შემთხვევაში გაზარდა კიდევაც ლიზინგის მოცულობა. მაგალითად, ცნობილმა სატვირთო კონტეინერების სალიზინგო კომპანიამ „TAL International Group“-მა 2008 წელს შეასრულა – 83,6 მლნ დოლარის სალიზინგო გარიგება, ნაცვლად 2007 წლის – 77,5 მლნ დოლარის. ეს მან მოახერხა იმიტომ, რომ კონტეინერებზე დადვა უკანდაბ-



ევროპის წამყვანი ლიზინგური კომპანიების რენკინგი
2008 წლის ბოლოს

პოზიცია	კომპანიის დასახელება	ქვეყანა	ახალი ბიზნესის მოცულობა ევროპაში (ათასი ევრო)	ევროპაში დადებული კონტრაქტების მოცულობა (ათასი ევრო)
1	ChiCredit Leasing S.P.A.	იტალია	12718456	160170
2	BNP PARIBAS Equipment Solutions	საფრანგეთი	11944743	467494
3	SG Equipment Finance	საფრანგეთი	11239976	155981
4	ING Lease	ნიდერლანდები	8832731	-
5	Deutsche Leasing	გერმანია	8793000	96742
6	Lombard North Central PLC	ბრიტანეთი	8718339	116195
7	De Lage Landen International B. V.	ნიდერლანდები	7244733	230734
8	Volkswagen Leasing	გერმანია	7059432	325734
9	Fortis Lease Group	ლუქსემბურგი	6907404	193
10	CREDIT LEASING	საფრანგეთი	5668690	115176
52	Eurolplan	რუსეთი	524046	15620
57	OJSC VTB-LEASING	რუსეთი	487987	78
63	Baltic Leasing Group	რუსეთი	348242	2736
66	Interleasing Group	რუსეთი	256678	1302
69	DeltaLeasing	რუსეთი	159710	1688
70	Stone-XXI ltd	რუსეთი	86793	1298
74	Progress-Neva Leasing	რუსეთი	25700	-

რუნებითი სალიზინგო ხელშეკრულებები (ეს მისთვის ახალი პროდუქტი იყო) [5].

2006-2008 წლების მსოფლიო გლობალური კრიზისის ფონზე ლიზინგის სფეროში ექსტრაორდინალური ზრდა გვაჩვენა ლათინურმა ამერიკამ. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებშიც – ჰონკონგი, ფილიპინები, ჩინეთი, ინდოეთი და სხვები – კრიზისამდე ლიზინგური ბაზრის ბუმი იყო. განსაკუთრებით ეს ეხება იაპონიის კომპანიებს, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს საერთაშორისო სალიზინგო ოპერაციების შესრულება. ისინი გავიდნენ არა მხოლოდ სინგაპურის და ჰონკონგის, არამედ აშშ-ს და ევროპის ბაზრებზეც.

ამ რეგიონში ლიზინგის მაღალი ტემპებით განსაკუთრებით გამოირჩევა ჩინეთი. მისი ეკონომიკა სწრაფი განვითარების ფაზაშია და ეს, ცხადია, გარკვეულ დაკვეთებს აძლევს ლიზინგის განვითარებასაც.

აქამდე ჩინეთში ლიზინგის ბაზარს ორი ასოციაცია არეგულირებს. ესენია: "Leasing Busi-

ness Committee of China Association of Enterprises" და "Financial Leasing Professional committee". პირველი არეგულირებს ჩინეთში გახსნილ საზღვარგარეთული სალიზინგო კომპანიების საქმიანობას, მეორე კი ბანკების მიერ გახსნილ ლიზინგკომპანიებს.

2008 წლის დასაწყისში ჩინეთის ლიზინგის ბაზარზე ფუნქციონირებდა უცხოური კაპიტალით შექმნილი 80 კომპანია და ერთობლივი კაპიტალის შექმნილი 37 კომპანია. 2008 წელს ჩინეთის ლიზინგურ ინდუსტრიაში 113,6 მლრდ ჩინური იენი იყო ჩადებული [7]. აზიაში ლიზინგის ბაზრის ლიდერია იაპონია.

დასკვნა

ლიზინგის მსოფლიო ბაზრის განვითარების ანალიზმა გვჩვენა, რომ მას ახასიათებს სისტემატური ზრდა. მართალია, 2006-2007 წლების ფინანსურმა კრიზისმა იგი გარკვეულად შეამცირა, მაგრამ ეს არ დატყობია ბაზრის ყველა სეგმენტს და არც ყველა ქვეყანას.



ბანკების ფინანსები ლიტერატურა:

REFERENCES:

1. Медведев С. Лизинг в экономике США, ж. "США: политика, экономика, идеология, "5, 1980, пмю 16.
2. Философов Т., Лизинг: научные основы, методы, оценки, управление, М., 2005.
3. ასოციაცია "Leaseurope"-ს ინფორმაციის (ინტერნეტის) საფუძველზე.
4. Mark Lauritano, Transportation equipment financing: tracking the forces shaping the market//Journal of equipment lease financing. volume 27, number 2, spring 2009.
5. Spencer Richman, 2009. Doom&Gloom vs Opportunrly, Feb. 17, 2009//http//www.worldleasingnews.com/
6. Stepan Laht, Successful/Third Party Funding in a Tough Economy, Jan 15, 2009//http//www.worldleasingnews.com

1. Medvedev S. Leasing in the US Economics, "United States Politics, Economics, Ideology" 1980
2. Filosofov T. Leasing: the Scientific Basis, Methods, Evaluation, Management, M., 2005.
3. Information based on Association Leaseurope (from internet)
4. Mark Lauritano, Transportation equipment financing: tracking the forces shaping the market//Journal of equipment lease financing. volume 27, number 2, spring 2009.
5. Spencer Richman, 2009. Doom&Gloom vs Opportunrly, Feb. 17, 2009//http//www.worldleasingnews.com/
6. Stepan Laht, Successful/Third Party Funding in a Tough Economy, Jan 15, 2009//http//www.worldleasingnews.com

LEASING MARKET DEVELOPMENT CONDITION

ILGAR VALIEV, Doctoral Candidate of GTU
E-mail: barata49@mail.ru

Summary

The article considers the scale and dynamics of international leasing market in terms of countries and regions of the world (North America, Europe, Asia, and Latin America). There is the information according to market segments as well.

The world leasing market was growing continually until 2006-2007. In 2007 the global financial crisis caused its decrease. It has not affected all countries and all segments of the market. The most stable was real estate leasing.

Us is the leader in world leasing while the Japan is on the second place

Tax benefits that has leasing entities in abroad helps development of the world leasing market. Those countries are Germany, Sweden, and the Great Britain etc. In Georgia, leasing companies do not enjoy the tax benefits.